

**გენდერული სტერეოტიპების პრობლემა  
დავით კლდიაშვილის მოთხრობაში  
„ქამუშადის გაჭირვება“  
PROBLEM OF GENDER STEREOTYPES  
IN DAVID KLDIASHVILI'S STORY  
*THE MISFORTUNES OF KAMUSHADZE***

**სოფიკო ჭუმბურიძე**  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი, საქართველო

**Sopiko Chumburidze**  
Akaki Tsereteli State University  
Kutaisi, Georgia

**ABSTRACT**

David Kldiashvili has a special place in the Georgian literature of the last decade of the 19th century and the beginning of the 20th century.

Even though female characters have always received a great deal of attention in literature studies, the portrayal of male and female social roles has not been the subject of special attention. David Kldiashvili's *The Misfortunes of Kamushadze* skillfully reflects the deep-rooted gender stereotypes in society and their negative impact. The story presents several problematic themes such as the issue of the remaining class-based inequality; the stereotypical norm engrained in society which implies that a woman has no right to navigate her personal life of her own free will; the problem of dowry, which the society perceives as a psychological pressure and which is portrayed as a symbol of gender inequality and the misfortune of unmarried women in David Kldiashvili's works.

In the story *The Misfortunes of Kamushadze*, David Kldiashvili describes the unhealthy attitude of the society towards a woman as a valuable member of society and as the one with full rights. The author attempts to eliminate ineradicable superstitions and stereotypes in the society. He writes about women's desires, feelings, views and intellect. David Kldiashvili portrayed the gender stereotypes and the problem of women in the society in a grotesque way which is typical to him. He made us think about the way women become members of the «second sex» in society; how innocent women, who are full of life, are sacrificed to family and social stereotypes and that it is essential for society to be more kind-hearted towards women.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული პროზა, დავით კლდიაშვილი, გენდერული უთანასწორობა, სოციალური უთანასწორობა.

**Keywords:** Georgian prose, David Kldiashvili, gender inequality, social inequality.

ქალისა დამამაკაცის უფლებები დამასთან დაკავშირებული პრობლემები ყველა ეპოქის საზოგადოებას აინტერესებდა, თუმცა განსაკუთრებული სერიოზულობით ეს საკითხი XVIII საუკუნეში დაისვა. იგულისხმება იოჰან გოტლიბ ფიხტეს ნაშრომი „ბუნებითი სამართლის დაფუძნება მეცნიერებათა მოძღვრების პრინციპების მიხედვით“. ფიხტესთვის წარმოუდგენელია განსხვავება ქალსა და მამაკაცს შორის, რადგან ყველა იურიდიული უფლების საფუძველი გონი და თავისუფლებაა, ეს კი ორივე სქესს ერთნაირად მოეპოვება (ფიხტე 1796: 57). მაგრამ „ქალისათვის კი არჩევანის უფლება წაურთმევიათ თავსმოხვეული მოვალეობის, მარადიული ქალურობის სახელით“ (გელაშვილი 2005: 123). როგორც ვხედავთ, ქალს იურიდიულად მინიჭებულ უფლებებს სოციალური უზღუდავს.

მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურათმცოდნეობაში ქალ პერსონაჟებს ყოველთვის დიდი ყურადღება ეთმობოდა, ქალისა დამამაკაცის სოციალური როლების ჩვენება საგანგებო ყურადღების საგანი არ გამხდარა. დავით კლდიაშვილის შემოქმედება გენდერული პრობლემატიკის კვლევისთვისაც ნაყოფიერ მასალას იძლევა. სოციალური პრობლემები ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იყო გენდერული უთანასწორობისა. საქართველოში გენდერული კვლევების მოგვიანებით განვითარებისა და, შესაბამისად, მხატვრულ ლიტერატურაში ამ პრობლემის შესწავლის ბოლო პერიოდში გააქტიურება შეიძლება მივიჩნიოთ იმის მიზეზად, რომ დავით კლდიაშვილის ნაწარმოებებს ძირითადად სოციალური და ესთეტიკური პრობლემების ჭრილში განიხილავდნენ და შეუმჩნეველი დარჩა მწერლის ფემინისტური დისკურსი, რომელიც ავტორს თავისი ეპოქის გამორჩეულ პროგრესულ მოაზროვნედ წარმოაჩენს.

დავით კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება“ ოსტატურად ასახავს საზოგადოებაში გამჯდარ გენდერულ სტერეოტიპებსა და მათ უარყოფით ზეგავლენას. მოთხრობაში რამდენიმე პრობლემატური თემაა წარმოჩენილი: ჯერ კიდევ შემორჩენილი წოდებრივი უთანასწორობის საკითხი; საზოგადოებაში გამჯდარი სტერეოტიპული ნორმა, რომ ქალს უფლება არ აქვს საკუთარი ნებით წარმართოს პირადი ცხოვრება; მზითევის პრობლემა, რომელიც საზოგადოებისათვის ფსიქოლოგიურ წნეხად აღიქმება და დავით კლდიაშვილის ნაწარმოებებში გენდერული უთანასწორობისა და გასათხოვარ ქალთა უბედურების სიმბოლოდ არის გააზრებული.

დავით კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება“ აზნაურ ოტია ქამუშაძისთვის ცოლის შერთვის პრობლემით იწყება. ეს საკითხი იმდროინდელი საზოგადოებისთვის რამდენიმე მიზეზით იყო პრობლემატური: ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო წოდებრივი უთანასწორობის საკითხი, რაც იმას ნიშნავდა, რომ აზნაური გლეხის ქალს არ შეერთავდა თუნდაც კარგი ოჯახის შვილი ყოფილიყო. ეს წოდებრივი უთანასწორობა ახალგაზრდებისა და მით უფრო გლეხის გოგონების ტრაგედიის მიზეზი ხდებოდა. ამიტომ, რადგან ოტიას ოჯახი აზნაური იყო, დედამისმაც განიზრახა არჩევანი აზნაურის ქალიშვილზე შეეჩერებინა. აქ იკვეთება კიდევ ერთი სტერეოტიპი და საზოგადოებაში გამჯდარი ნორმა:

ქალს უფლება არ ჰქონდა თავად მიეღო გათხოვების გადაწყვეტილება, სარდიონმა პირდაპირ უარი ვერ თქვა და ამიტომ ურჩია თავად ქალიშვილს მოლაპარაკებოდნენ და თუ მისგან თანხმობას მიიღებდნენ, ისიც უარზე არ იქნებოდა, ოღონდ მზითევზე ხელი უნდა აეღოთ.

საზოგადოება რომ არასერიოზულად უყურებს ოჯახის შექმნის პროცესს, ეკვირინეს სიტყვებიდანაც ჩანს, როცა ის გაბრაზებული ამბობს: „ქალიშვილს დავეკითხო, რა! ზრმენი გაწყდა იმ ოჯახში, თუ როგორ არი მათი საქმე, ბავშვებთან არ მალაპარაკონ?!“ (კლდიაშვილი 1961: 445). ადამიანმა, რომელმაც ოჯახი უნდა შექმნას, ბავშვად მოიხსენიებენ.

კიდევ ერთი, დიდი პრობლემა საზოგადოებისა მზითევის თემა იყო: „მერემისი ცარიელი ქალივისრათ უნდა!.. რა დაბრმავებული გვნახეს, თვალი მაგათ დაუდგათ და ყურიი!“ (კლდიაშვილი 1961: 445). მზითევის გარეშე ქალი ვერ გათხოვდებოდა, თითქოს ქმრის ოჯახი მზითევით ყიდულობდა ცოლს. მზითევის არქონის გამო ბევრი გაუთხოვარი დარჩენილა, ბევრი საყვარელ მამაკაცს არ წაუყვანია, ბევრი თვითმკვლელობამდეც მისულა. დავით კლდიაშვილის მოთხრობებში ხშირად ჩნდება მზითევი, როგორც გენდერული უთანასწორობისა და გასათხოვარ ქალთა უბედურების სიმბოლო.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის მონაკვეთი, სადაც პორფირს სონიას დედა ეუბნება: „თუკი ქალს მირჩენს და შემინახავს, სხვას რას დავებებ... ნეტავი კი მოხერხდებოდეს და!... გამძვირდა, შენ დაგენაცვლე, ქალის მთხოვნელიც... ჩემს სონიაზე უკეთესები საცოდავად ბერდებიან, კაცი ხელს არ კიდებს...“ (კლდიაშვილი 1961: 464). ამ სიტყვებში კარგად მოჩანს, თუ რა გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ გასათხოვარი ქალები.

გასათხოვარი ქალები მშობლების მხრიდან ფსიქოლოგიურ და სოციალურ ჩაგვრას განიცდიდნენ. მშობლებისთვის მთავარი ვაჟი იყო და ხშირ შემთხვევაში გოგო მათთვის ზედმეტ ტვირთად ითვლებოდა. სონიას ჰყავს უცოლო ძმაც, მაშვლის გამოჩენის შემდეგ დედა სონიას ბედზე კი არ წუხს, თვალწინ თავისი ვაჟი უდგას, მის სურათს დაჰყურებს და ბედნიერი ეუბნება, აწი განთავისუფლდები და შენი საწყალი დედის გულიც გამხიარულდება შენი კარგი ბედითო“ (კლდიაშვილი 1961: 465).

მშობლებისა და შვილების გაუცხოებულ მდგომარეობაზე მიუთითებს სონიასა და დედამისის შორის დიალოგი. ისინი ნაცნობი გოგონას გათხოვების ამბავს განიხილავენ, რომლის ნიშნობაც სასიძოს ჩაუშლია მზითევის გამო. ამ ამბით შეწუხებული სონიას დედა გოგონას მშობლებზე დაიწყებს დარდს, რაზედაც სონია უპასუხებს: „-ჰო, მშობლის!.. მშობელს რა უჭირს, ვინც სირცხვილშია ჩავარდნილი, იმან იკითხოს თვარა..... უხეირო პატრონის ხელში ქალიშვილი ღმერთმა ნუ ჩააგდოს, ღმერთმა, თვარა მშობელს რა უჭირს იმდენი...“ (კლდიაშვილი 1961: 478).

ამ დიალოგში ორი დიდი პრობლემა იკვეთება, ერთი, რომელიც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ქორწინებისა და მზითევის პრობლემა: თუ ოჯახი ვერ გადაიხდიდა სასიძოს მიერ მოთხოვნილ თანხას, ქალი სამუდამოდ

შერცხვენილი რჩებოდა, და მეორე - სონიას მსჯელობით მშობლებზე, საზოგადოდ, გასათხოვარი ქალების მიერ გამოთქმულ საყვედურად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ქალის ცხოვრება თავად მას ეკუთვნის და მის გადაწყვეტილებაში არავინ უნდა ჩაერიოს.

სონიას გათხოვება დედამ, ძმამ, პორფირმა და ოტიამ ისე გადაწყვიტეს, რომ ქალმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. როცა მასთან პორფირი მივიდა და მიულოცა, ქალმა გაკვირვებულმა იკითხა: „დედა... რა ამბავია?! - უცნაური ხმით მიმართა ყმაწვილმა ქალმა დედას.

- შენი ბედნიერება, შვილო, შენი ბედნიერება! სხვარა გვენდომილება!...

- გაგიგონიათ ასე?! გაგიგონიათ ასე ჩემდა დაუკითხავად? - გაცხარებით იძახდა სონია (კლდიაშვილი 1961: 479).

როგორც ვხედავთ, მოთხოვნაში კიდევ ერთხელაა წამოჭრილი მშობლების ძალდატანებით დაქორწინებული შვილების პრობლემა.

ოტია სიხარულის ვერ მალავდა, როცა მასთან ქორწინებაზე დათანხმებული სონია შემოიყვანეს, უხაროდა, რომ ქველიძეს შანს მოუგებდა. სახლისკენ დაბრუნებულ პორფირს ეუბნება, ხალხს რომ გული მოეუკლა, ტყუილი თქვი, თითქოს ბეგლარმა დას 500 მანეთი მზითევი მისცაო, „ცარიელი სიტყვა ქვეყნის გასაგონად, თორემ ფულის თხოვნას როგორ გოვუბედავ...“ (კლდიაშვილი 1961: 480).

ოტიას ქალაქელი ცოლის შერთვა ახალი და განსაკუთრებული მოვლენა იყო სოფელში. მეზობლები ათას ჭორს იგონებდნენ და მოუთმენლად ელოდნენ პატარძლის ნახვას. ოტიამ მალევე დაიწერა ჯვარი და თანვე დაეტყო ქალაქელებთან დამოყვრება. „სოფლად რომ იციან, ჯვარს დაიწერენ და ქალს არ წაიყვანენ, სანამ ქალის პატრონი დაპირებულ მზითევს თლად არ მოაგროვებს და სიძეს არ ჩააბარებს, და ამასობაში ეს უკანასკნელი წანწალშია და თრევაში სახლსა და მოყვარეს შუა - ამისთანებს აარიდა თავი ოტიამ...“ (კლდიაშვილი 1961: 482). ქორწინებით კმაყოფილი დარჩა ორივე მხარე, მაგრამ არავის აინტერესებს, თუ რას ფიქრობს სონია, რას განიცდიდა ქალი, რომელიც საკუთარ მომავალზე ფიქრობდა დამწუხრებული: „დმერთო ჩემო, ამ მიყრუებულში უნდა დავლიო ჩემი სიცოცხლე? - გაიფიქრა მან და რაღაცამ თითქოს ყელში წაუჭირაო და თანვე თვალებში ჩამოეზინდა. სცადა თავს შებრძოლებოდა, თავი შეემაგრებინა, მაგრამ ვერ მოახერხა და ცრემლები ნაკადულივით წამოსკდა თვალებიდან“ (კლდიაშვილი 1961: 485). ავტორი ამ მონაკვეთით ლაკონურად გვაგრძნობინებს იმ ქალის დარდს, რომლის ბედიც დაუკითხავად გადაწყვიტეს და ძალა არ შესწევს, რაიმე შეცვალოს. სონია იძულებულია, ბედს დამორჩილდეს და შეგონებასავით დაიმახსოვროს ძმის დარიგება: „- თუ გასაჭირი შეგზვდეს, კიდევაც მოითმინე და შენითვე შეეცადე, მეორედ აღარ შეიხვედრო!... მორჩილი იყავი ქმრისაც და ამ პატიოსანი ადამიანისაც, შენი დედამთილის... ამით სახელიც კაი გექნება და ქალობაც ამით დაგიშვენდება... შენი კაი ქალობით ჩვენც გაგვახარებ... დედაშენსაც სიცოცხლეს შემატებ... ანჩხლი და კაპასი იქ არ ყოფილხარ და იმედია, არც აქ იქნები“ (კლდიაშვილი 1961: 484) - ასე არიგებდნენ და უწერგავდნენ ქალებს, საზოგადოდ, ქმრისა და ოჯახის მორჩილებას.



თუ დავაკვირდებით დავით კლდიაშვილის ქალ პერსონაჟებს, ისინი გამოირჩევიან ოჯახისადმი ერთგულებით. ლოგიკურად უნდა ვიფიქროთ, რომ მათი სახით ავტორი საზოგადოებას მისაზამ მაგალითს აჩვენებს. სონია ქალაქიდან სოფელში ძალით გათხოვილი ქალია, რომელიც წუხს საკუთარი ბედის გამო, მას უწევს უამრავი პრობლემის გადალახვა, მაგრამ ის ყოველთვის ქმრისა და ოჯახის ერთგული რჩება, რთულ მომენტებში მუდამ მეუღლის გვერდითაა. როდესაც ეკვირინესთან მოჩხუბარი მეზობლის ჭორებს გაიგონებს საკუთარ თავზე, რომ თითქოს „შენი რძლის საყვარლის იმედით? დაგიდგა თვალი! რა მადლა მოგაქვთ თავი! იმით იწვევით ზევით, რომ ვიდაცა ოხერმა ხასა რძლათ შემოგატყუათ და თქვენი სიბრყვიით გათამამებული ურცხვად დაწაწალობს, ასე გგონიათ, ქვეყანა ვერაფერს ხედავდეს და მიხვდებოდეს?!... ბუშებით ოჯახს რომ ავსებთ, თქვენ უნდა ლაქლაქებდეთ სხვებზე?!“ (კლდიაშვილი 1961: 555). მოხმობილი ციტატით ჩანს, თუ როგორ დაუფიქრებლად შეუძლია საზოგადოებას უდანაშაულო ადამიანს ჩირქი მოსცხოს და სახელი შეუბღალოს. სონია ამ სიტყვების გაგონებაზე სიკვდილს ნატრობს და შინ დაბრუნებულ ქმარს ეუბნება, რომ ის სოფელში ვედარ დარჩება: „ოტია, მომაშორე, მომაშორე,... მეტის ატანა აღარ შემიძლია, არ შემიძლია, შე კაცო!..“ (კლდიაშვილი 1961: 556). აქ სონია წარმოგვიდგება როგორც ძლიერი, ამაყი, თავმოყვარე ქალი, რომელმაც იცის პატიოსნებისა და საკუთარი თავის ფასი.

მოთხრობაში ტრადიციისა და საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებების კიდევ ერთი მხვერპლია ნინო, სარდიონის ქალიშვილი. ის სილამაზითაც გამოირჩეოდა და გულ-ლმობიერებითაც, ამიტომ უყვარდათ განსაკუთრებით გლეხკაცობასაც და აზნაურებსაც, მაგრამ ნინოს ბედნიერებას, მის ოჯახის შექმნას ხელს უშლიდა სიღარიბე და მზითვის არქონა. „სიღარიბემ დაარჩინა იგი ოცდახუთ წლამდის გაუთხოვარი, მზითვის უქონლობამ, თორემ ბევრს კარგს მოუწადინებია მისი ცოლად შერთვა“ (კლდიაშვილი 1961: 510). სწორედ ნინოს დაუმეგობრდა სონია და გადაწყვიტა ბეგლარისთვის შეერთო. ბეგლარი იმდენად ადფრთოვანებული დარჩა ნინოს სილამაზით, რომ სხვების მოურიდებლად წაიძრო ხელიდან ბეჭედი და ძალით გაუკეთა ქალს: „გამაბედნიერე შენი სიყვარულით და გამიშუქე ჩემი მომავალი ოჯახი შენის ნაზის სხივებითაო“ (კლდიაშვილი 1961: 535). დედა აჩქარებდა ბეგლარს ქორწილს, მაგრამ კაცს აჩქარება არ უნდოდა. ქალი დანიშნე და ახლა გაჩუმება არ შეიძლებაო, - ეუბნებოდა დედა. ნინოს ბედნიერება მაშინ გამოეცალა, როცა ბეგლარმა სარდიონს შეუთვალა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში წაიყვანადა მის ქალიშვილს, თუ 800 მანეთს მისცემდა მზითევად. დაბეჩავებულ სარდიონს ფული არ ჰქონდა, ამიტომ ბეგლარს შეუთვალა, ისე დანიშნე ჩემი გოგო, არ დაგკითხვიხარ და მზითევზეც არაფერი გითქვამს, ახლა გვიანია ამაზე საუბარი და ცოლად უნდა შეირთოო. თავის მხრივ, გაქნილი და უგრძნობი ბეგლარი მყარად იდგა და ფიქრობდა, რომ ცოტა მოთმინების შემდეგ ლამაზი ქალიც მისი იქნებოდა და მზითევიც. ასე მიდიოდა ქალის ბედით ვაჭრობა საქმროსა და მამას შორის. ეს არის ნათელი სურათი, თუ

როგორ უქვავებდა გულს სოციალური სიდუხჭირე ადამიანებს, მათთვის გრძნობებზე მეტად მნიშვნელოვანი ფული იყო და ახალგაზრდა გოგოს ბედი მძიმე სოციალურ ყოფას ეწირებოდა. წინოს ბედით გულდამწუხრებული სონია თავს ევლებოდა ქალს, საფერებელ სიტყვებს არ იშურებდა მისი მისამართით, რადგან თავს დამნაშედ გრძნობდა მის მიმართ. წინო კი ჩვეული სიმშვიდით და ტკბილი ხმით მიუგებდა: „- შენი რა ბრალია, ჩემო სონია, შენი რა ბრალია? შენ რად უნდა შეგიძულო?.. ალბათ, ასეთი ბედის ვყოფილვარ!.. შენ რა?..“ (კლდიაშვილი 1961: 540). ასეთი „ბედით“ იტანჯებოდნენ ქალები, „ბედით“, რომელსაც სიღარიბე ერქვა. სწორედ სიდუხჭირემ ჩააგდო წინო ასეთ დღეში და გახადა ქვეყნის დასაცინი. „არა, ჩემო დაო, უფულოდ ტყვილა იფიქრა იმ თქვენმა სარდიონმა... უფულოდ ქალიშვილს ხელს არავინ მოუკიდებს, შენც არ მომიკვდე!..“ (კლდიაშვილი 1961: 553). გაცოფებული სონია კი კითხულობს: აბა რა ჰქნას ქალმა, ჯავრით მოკვდეს? ამის საპასუხოდ კი მხოლოდ „ხა, ხა, ხა, არ ჩაკვდება არა“ - მოისმა კაცის სიცილი და ეს სიცილი საზოგადო დაცინვას „ლონიერი“ კაცებისა „სუსტ“ ქალებზე.

დავით კლდიაშვილი მოთხრობაში „ქამუშაძის გაჭირვება“ გროტესკულად გვიხატავს იმდროინდელ საზოგადოებაში არსებულ გენდერულ სტერეოტიპებს. პროზაიკოსმა მკაფიოდ აჩვენა, როგორ ეწირებიან სიცოცხლით სავსე, უდანაშაულო ქალები ოჯახურ და საზოგადოებრივ სტერეოტიპებს, როგორ ხდებიან ისინი საზოგადოებაში „მეორესქესის“ წარმომადგენლები და როგორი აუცილებელია საზოგადოება უფრო ღმობიერი იყოს ქალთა მიმართ.

#### გამოყენებული ლიტერატურა

**აბაშიძე 1970:** აბაშიძე კ., ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ. თბილისი, 1970.

**გელაშვილი 2005:** გელაშვილი ნ., ქალი-სახე და პრობლემა. თბილისი, 2005.

**კლდიაშვილი 1961:** კლდიაშვილი დ., პიესები. თბილისი, 1961.

**Fichte 1796:** Fichte J. G., Grundlage des Naturrechts nach Prinzipien der Wissenschaftslehre. Hamburg, 1796.